ხელშეკრულება N182/2021
(პროგრამული კოდი: 27 03 03 10 0101)

LEPL National Health Agency
Date: 2021.02.05 13:01:28 +04'00'

ქ. თბილისი

2021 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, თამარ მელიქიძის სახით და მეორე მხრივ, სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი“ (შემდგომში „მიმწოდებელი”), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის, შოთა გოგიჩაიშვილის სახით (ორივე ერთად წოდებული - „მხარეებად“), ვხელმძღვანელობთ რა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №828 დადგენილებით, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-21 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 აგვისტოს №509 დადგენილებით, „საქართველოში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, სამედიცინო დაწესებულებების მობილიზების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 19 სექტემბრის №01-467/ო ბრძანების (ასევე, მასში შესული ცვლილების: 2021 წლის 28 იანვრის №01-33/ო) გათვალისწინებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის (CPV კოდი 85110000 - საავადმყოფოს და მასთან დაკავშირებული მომსახურებები) შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №828 დადგენილებით (შემდგომში - „დადგენილება“) დამტკიცებული „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვა“ (დანართი №20) სახელმწიფო პროგრამის (შემდგომში - „პროგრამა“) მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ამოცანების რეალიზება მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული გამოთავისუფლებული საწოლ ადგილების შესაბამისად.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხორციელდება:

3.1.1. 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 01 მარტამდე გამოთავისუფლებული საწოლების ოდენობა 76 ერთეული.

3.2. მომსახურების გაწევა ხორციელდება 2021 წლის 1 მარტამდე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის, „დადგენილებით“/„პროგრამით“ გათვალისწინებული და/ან „შემსყიდველის“ მიერ განსაზღვრული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოთხოვნების შესაბამისად.

3.3. მომსახურება ანაზღაურდება „დადგენილების“ / „პროგრამის“ შესაბამისად, 3.1 პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ გამოთავისუფლებულ საწოლზე - დღიური 100 ლარით.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 448 400 (ოთხას ორმოცდარვა ათას ოთხასი) ლარს.

4.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება, მოიცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, ასევე, „პროგრამით“ განსაზღვრულ სხვა გადასახდელებს ,რომელთა გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

5.1.1. ზედმიწევნით და განუხრელად დაიცვას „დადგენილების“, /“პროგრამის“, წინამდებარე ხელშეკრულების პირობები და „შემსყიდველის“ მიერ დადგენილი (მიღებული) მოთხოვნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

5.1.2. ოპერატიულად მიაწოდოს „შემსყიდველს“ ინფორმაცია, რაც უკავშირდება „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შეფერხებას და/ან შეწყვეტას (მაგ.: სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის/ნებართვის შეჩერება, ჩამორთმევა და ა.შ.);

5.1.3. წარუდგინოს „შემსყიდველს“ გაწეული მომსახურების შესახებ დადგენილი ფორმის საანგარიშგებო დოკუმენტაცია არაუგვიანეს შესრულებული სამუშაოს თვის მომდევნო თვის 25 რიცხვისა;

5.1.4. „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად, მიაწოდოს მას ნებისმიერი ინფორმაცია თუ დოკუმენტი, რომელიც უკავშირდება პროგრამის ადმინისტრირებას და/ან ამ მუხლის 5.3.1. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას, საქართველოს კანონმდებლობის დაცვით;

5.2. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

5.2.1. მიიღოს „შემსყიდველისგან“ პროგრამის მიხედვით შესრულებული მომსახურების საფასური;

5.2.2. მოითხოვოს „შემსყიდველისგან“ ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება.

5.3. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

5.3.1. აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ გაწეული მომსახურების საფასური კანონმდებლობის შესაბამისად;

5.3.2. გააცნოს „მიმწოდებელს“ ამ მუხლის 5.4.3. პუნქტის შესაბამისად მიღებული (გამოცემული) აქტი. გაცნობად ჩაითვლება აქტის „შემსყიდველის“ ვებ-გვერდზე (https://nha.gov.ge) გამოქვეყნება ან დროებით, www.ssa.gov.ge-ზე განთავსება;

5.3.3. დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

5.4. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:
5.4.1. მოთხოვოს „მიმწოდებელს“ „დადგენილებით“/ „პროგრამით“/ მინისტრის ბრძანებით/ წინამდებარე ხელშეკრულებით და 5.4.3 პუნქტის შესაბამისად მიღებული აქტით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
5.4.2. მოთხოვოს „მიმწოდებელს“ დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები, რაც უკავშირდება „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ მომსახურებას;
5.4.3. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამით გათვალისწინებული ურთიერთობების დარეგულირების მიზნით, მიიღოს (გამოსცეს) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის შესრულებაც სავალდებულოა „მიმწოდებლისათვის“ იმ მოცულობით, რაც უკავშირდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას. ამ პუნქტით გათვალისწინებული აქტის მიღება წარმოადგენს „შემსყიდველის“ უფლებას და არა ვალდებულებას.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების და მიმწოდებელთან ანგარიშსწორების წესი
6.1. მომსახურების მიღება-ჩაბარება (გაწეული მომსახურების შესახებ „შემსყიდველთან“ ანგარიშგება) ხორციელდება „დადგენილებით“ / „პროგრამით“ და „შემსყიდველის“ მიერ განსაზღვრული პირობებით/ფორმებით;
6.2. გაწეული მომსახურების შესახებ საანგარიშგებო დოკუმენტაცია „შემსყიდველს“ წარედგინება არაუგვიანეს შესრულებული სამუშაოს თვის მომდევნო თვის 25 რიცხვისა. ვადაგადაცილებით წარდგენილი დოკუმენტები არ განიხილება, თუ პროგრამით განსაზღვრული პირობებით გაწეული მომსახურების დასრულებიდან გასულია 3 საანგარიშგებო თვეზე მეტი.
6.3. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება „დადგენილების“/ „პროგრამის“ და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ლარებში, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების მიხედვით.

7. ხელშეკრულების შესრულების ზედამხედველობა
7.1. ხელშეკრულების შესრულების ზედამხედველობა ხორციელდება „დადგენილებით“ განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, „პროგრამის“ პირობების შესაბამისად.

8. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის
8.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების პირობების დარღვევისათვის „მიმწოდებლის“ პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „დადგენილებით“.
8.2. „მიმწოდებლის“ მიმართ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის „შემსყიდველის“ პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა
9.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
9.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით;
9.1.2. მხარეთა შეთანხმებით;
9.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და/ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.1.4. „მიმწოდებლის“ მიერ ცალმხრივად, თუ „შემსყიდველი“ არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და უშედეგოდ გავიდა ვალდებულების შესრულებისთვის განსაზღვრული დამატებითი გონივრული ვადა. დამატებითი გონივრული ვადა არ უნდა იყოს 2 (ორი) კვირაზე ნაკლები.
9.2. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ინიციატორი მხარე მეორე მხარეს უგზავნის წერილობით შეტყობინებას.
9.3. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.4. „შემსყიდველს“ შეუძლია, მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ „მიმწოდებლის“ წერილობითი ინფორმირებისა და ვალდებულების შესრულებისთვის დამატებით განსაზღვრული გონივრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ.
9.5. „შემსყიდველს“ ცალმხრივად შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე:
9.5.1. თუ „შემსყიდველისთვის“ ცნობილი გახდა, რომ „მიმწოდებელი“ ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, გარდა ფორს-მაჟორული გარემოებებისა;
9.5.2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.6. „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ცალმხრივად შეწყვეტა ხორციელდება „დადგენილებით“ გათვალისწინებული პირობებით.
9.7. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულების ვალდებულებისაგან.

10. ფორს-მაჟორი
10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება

გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, და სხვა.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 48 (ორმოცდარვა) საათისა, უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით, აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
11.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი შეთანხმების ფორმით.
11.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან მხარეთათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა
12.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.
12.2. სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს სასამართლოს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
13.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს 2021 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

14. სხვა პირობები
14.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
14.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
14.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
14.4. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით და მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მხარეებმა შესაძლოა, დაამუშაონ და/ან ერთმანეთს გაუზიარონ რიგი პერსონალური, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები.
14.5. ამგვარი ინფორმაციის მიმღებმა პირმა უნდა უზრუნველყოს, რომ მას ჰქონდეს კონფიდენციალურობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სრულყოფილად დანერგილი შიდა წესები/სისტემები, სავალდებულო რეგულაციები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია/იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან და რომლებიც სრულად გავრცელდება ინფორმაციის დამმუშავებლისგან/გადამცემისაგან მიღებულ ინფორმაციაზე. შესაბამისად, ამ ურთიერთობის თითოეული მხარე (როგორც მონაცემთა დამმუშავებელი/გადამცემი, ასევე, უფლებამოსილი/მიმღები პირი და მისი ნებისმიერი ქვე-კონტრაქტორი) ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მისი საქმიანობა სრულ შესაბამისობაში იყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით არსებული კანონმდებლობის მოთხოვნებთან და ასევე, მკაცრად დაიცვას ქვემოთ მოცემული პირობები:
14.5.1. მხარემ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება უნდა განახორციელოს კანონით განსაზღვრული პრინციპების დაცვით, ხოლო თუ მონაცემთა დამუშავებისთვის კანონი ითვალისწინებს მონაცემთა სუბიექტის თანხმობას, მოიპოვოს/მოპოვებული ჰქონდეს აღნიშნული თანხმობა (წერილობით ან ელექტრონული ფორმით). თანხმობა გაცემული უნდა იყოს ნებაყოფლობით, მკაფიო, მარტივი და გასაგები ენით. ამასთან, ასეთი თანხმობა, დაუყოვნებლივ უნდა იქნას წარდგენილი მონაცემების მიმღებისათვის, ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში.
14.6. პერსონალურ მონაცემების დამუშავებაზე უფლებამოსილი/ინფორმაციის მიმღები პირი ვალდებული იქნება:
14.6.1. განახორციელოს მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მიწოდებული მონაცემების დამუშავება იმ მოცულობით და ფარგლებში, რაც აუცილებელია მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და მიზნების შესასრულებლად ან გათვალისწინებულია კანონმდებლობით ან მარეგულირებლის მოთხოვნით;
14.6.2. დანერგოს ყველა ტექნიკური ან ორგანიზაციული ზომა და განახორციელოს ყველა აუცილებელი ქმედება, რათა აცილებული იქნას მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მიწოდებული პერსონალური მონაცემების არაავტორიზებული ან უკანონო დამუშავება, მათი დაკარგვა, განადგურება, დაზიანება, არაავტორიზებული ცვლილება ან გასაჯაროება და შეატყობინოს მონაცემთა დამმუშავებელს მის მიერ მიღებული ზომების შესახებ;
14.6.3. მონაცემთა დამმუშავებლის თანხმობის გარეშე, არ განახორციელოს მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის მესამე პირებისთვის გადაცემა (გარდა იმ მესამე პირებისა, რომელთათვისაც მონაცემების გადაცემა აუცილებელია მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად და ან კანონის ძალით), ამასთან, ნებისმიერი საფუძვლით, მონაცემების მესამე პირებისთვის გადაცემის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირი ვალდებულია მონაცემების გადაცემა განახორციელოს წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის თანახმადაც მესამე პირი და/ან მისი სუბ-კონტრაქტორები ვალდებულნი იქნებიან მიიღონ ყველა აუცილებელი ტექნიკური ან ორგანიზაციული ზომა და განახორციელონ ყველა ქმედება, რათა აცილებული იქნას პერსონალური

მონაცემების არაავტორიზებული ან უკანონო დამუშავება, მათი დაკარგვა, განადგურება, დაზიანება, არაავტორიზებული ცვლილება ან გასაჯაროება;

14.6.4. ნებისმიერი ზიანის/ზარალის ანაზღაურებაზე, რომელიც შესაძლოა მიადგეს მონაცემთა დამმუშავებელს, უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების თაობაზე ნაკისრი და/ან კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შედეგად. უფლებამოსილი პირი თანახმაა, აუნაზღაუროს და დაიცვას მონაცემთა დამმუშავებელი ნებისმიერი (მათ შორის არაპირდაპირი) ზიანისაგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც მონაცემთა დამმუშავებელი გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას.

14.7. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ და ა.შ., თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და ფაქტების დადასტურება.

14.8. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

14.9. ხელშეკრულების რომელიმე პირობის (მუხლი, პუნქტი) ბათილად ან გაუქმებულად გამოცხადება არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან გაუქმებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რომელიმე პირობის (მუხლის, პუნქტის) ბათილობის/გაუქმების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება, რაც ამოქმედდება წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მხარეები თანხმდებიან, რომ ამ შემთხვევაში, არ არის სავალდებულო ხელშეკრულებაში კორექტირების შეტანა შეთანხმებით, ხოლო ბათილად/გაუქმებულად გამოცხადებული ხელშეკრულების ნორმის (მუხლის, პუნქტის) ნაცვლად მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

14.10. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

14.11. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 1 (ერთი) ეგზემპლარად და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, რომელთაგან თითოეული მხარის ელექტრონულ ვერსიას აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

სსიპ „ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო“
მის: ქ.თბილისი, ა. წერეთლის #144
ს/კ 200294519
ბანკი : სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ანგარიში: GE24NB0330100200165022
საკონტაქტო, მობ: 599 85 09 29
E-mail: phalavidze@.moh.gov.ge

თამარ მელიქიძე
სააგენტოს დირექტორი

„მიმწოდებელი"

სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი“
ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 16
ს.კ. N212153756
ს.ს. „თი ბი სი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE29TB7144136020100001

შოთა გოგიჩაიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

INFECTIOUS DISEASES, AIDS & CLINICAL IMMUNOLOGY RESEARCH CENTER JSC

Digitally signed by INFECTIOUS DISEASES, AIDS & CLINICAL IMMUNOLOGY RESEARCH CENTER JSC
Date: 2021.02.04 16:08:57 +04'00'

ვიზირებულია: კ. ჩხარტიშვილი

ფ. ალავიძე

მ. ნასყიდაშვილი

მ. ქიმერიძე

მ. შავშიშვილი